მშობლის მხრიდან ბავშვის ემოციური და ფუნქციური გათვალისწინება და ბავშვის ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ძლიერი და სუსტი მხარეები

რუსუდან სტურუა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, ასოცირებული პროფესორი
მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2017

აბსტრაქტი

ჩემს ნაშრომში განხილულია მშობლების ატიტუდები და აღზრდის თავისებურებები, მათი გამოვლენა უშუალოდ ბავშვთან მიმართებაში. კეთილგანწყობილი და არასასურველი ატიტუდის შემთხვევაში კი ბავშებს უყალიბდებათ საკუთარი წარმოდგენა მშობლების და საკუთარი თავის შესახებ ,მათი ემოციური მდგომარეობის და ფუნქციონირების შესახებ, რომელთა ერთიანობაც მათ ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას გამოხატავს. მოცემული კვლევის მიზანი იყო შეესწავლა თუ როგორ ვლინდება მშობლის ატიტუდი მიმდინარე სიტუაციაში, რამდენად არის ის დაკავშირებული ბავშვის ემოციურ მდგომარეობასთან, ითვალისწინებს თუ არა მას. და ამავე დროს , რამდენად სთავაზობს ბავშვს ხელსაყრელ გარემო პირობებს, მისი ასაკობრივი განვითარების შესაბამისად განვითარებისათვის. ასევე ჩვენ გვაინტერესებდა ბავშვები როგორ შეაფასებდნენ საკუთარ შინაგან მდგომარეობას, რამდენად კავშირში იქნებოდა ეს მდგომარეობა მშობლების ატიტუდთან და საკუთარი შვილების შესაძლებლობების შეფასებასთან . არსებობს თუ არა და, თუ არსებობს ,რა სახის კავშირია მშობლის ატიტუდებსა და მათ გამოვლენას ქცევაში, ბავშვის შინაგანი მსგომარეობის შეფასებასთან, როგორც მშობლებიუს მიერ, ასევე საკუთარი შესაძლებლობების შეფასების მიხედვით. ასევე განსხვავდებოდა თუ არა სხვადასხვა სქესისა წარმომადგენლები მოცემული ფსიქოლოგიური ფსიქოლოგიური მსგომარეობის მიხედვით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 86-მა მონაწილემ, აქრდან თანაბარი რაოდენობით იყოფიან მშობლები და მათი შვილები, რომელთა ასაკი მერყეობდა 9 -დან 11 წლამდე. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია 5 თვითადმინისტრირებული კითხვარი: (მშობლების ატიტუდების,ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების შესაფასებელი საზომი მშობლისა და ბავშვის ფორმა და ასევე შფოთვის დონის საკვლევი ინსტრუმენტი) კვლევის შედეგებმა აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირი გარკვეულ ცვლადებს შორის. შედეგების მიხედვით,მშობლის

ატიტუდები შესაძლებელია პრედიქტორად მივიჩნიოთ გოგონებში ემოციური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასებისას ასევე გამოიკვეთა ძლიერი კავშირი ბავშვებისა და მშობლების შეფასებებს შორის, ბავებთან ემოციური სირთულეების აღმოჩენისას.

საკვანძო სიტყვები: ატიტუდი; ემოციური და ფსიქოლოგური მდგომარეობა; აღზრდის განვითარება; ასაკობრივი გარემო.